ქართული | Georgisch

Vorbereitung auf eine Abschiebung

მომზადება დეპორტაციისთვის

დააბრუნეთ ჩვენი მეზობლები
ერთად სოლიდარობით საქსონიის დეპორტაციის პოლიტიკის წინააღმდეგ

იმის მიუხედავად რომ ეს **საშიში და სარისკოა bbonlink.de/flyer-ka-stress** შენ შეგიძლია შესაძლო დეპორტისთვის მომზადება.

შეიძლება პოლიცია ღამითაც მოვიდეს, ამიტომ ყველაფერი უნდა გაკეთდეს ძალიან სწრაფად. ეს ინფორმაცია დაგეხმარება მიმდინარე დეპორტაციის დროს, კარგ შემთხვევაში მის შეჩერებაშიც:

მოამზადე საჭირო ნივთები: წამლები, საბუთები (ბავშვების დაბადების მოწმობები, სამედიცინო დოკუმენტები, პასპორტები და ა.შ.). წინასწარ შეათანხმე სანდო ადამიანთან, რომ საფრთხის შემთხვევაში ნებისმიერ დროს შეგიძლია დაურეკო. დაწერე მისი და შენი ადვოკატის სახელი და ტელეფონის ნომერი, შეინახე მარტივად საპოვნელ ადგილას, მაგ. კარის გვერდით დაკიდე ფურცელი. თუ დეპორტაცია განხორციელდება, სანდო პირი შეძლებს გამოგიგზავნოს ნივთები, რისი წაღებაც ვერ მოახერხე ან დაგავიწყდა. იცნობ ადამიანებს, რომლებიც საფრთხის შემთხვევაში სწრაფად მოვლენ შენთან და დეპორტაციისთვის წინააღმდეგობის გაწევას მოახერხებენ? ამ შეთხვევაში, დაგეგმეთ ერთად, ვის აცნობო ინფორმაცია. ეს ადამიანი შემდეგ გადასცემს სხვებს ინფორმაციას (ჯაჭვი). ხშირად ვერ იპოვი საკმარის ადამიანებს, რომლებიც ეცდებიან დეპორტაციის შეჩერებას. მიუხედავად ამისა, შეგიძლია მაინც დაუკავშირდე რამოდენიმეს, რათა მოვიდნენ მხარი დაგიჭირონ და იყვნენ მოწმეები. გაქვს მტკიცებულება, რომ შენ ან შენი ოჯახი არ უნდა დაგადეპორტონ? მოამზადე საჩვენებლად. ეს შეიძლება იყოს, მაგ. სამედიცინო დასკვნები, სასამართლოს გადაწყვეტილებები, დედობის პასპორტი, უწყებებიდან ან ადვოკატებიდან წერილები. რეგულარულად ეკონტაქტე შენს ადვოკატს და მხარდამჭერებს. დარწმუნდი, რომ მათ აქვთ შენი უახლესი დოკუმენტები და ინფორმაციები, რომელიც შეიძლება დაგეხმაროს დარჩენაში, მაგ. სამუშაო ხელშეკრულება, სამედიცინო დოკუმენტები... თუ გსურს, მოაწერე ხელი **ნიმუშებს bbonlink.de/page-ka-forms** ასაც აქ სასწრაფო დახმარების ნაკრებში იპოვი, და შეგიძლია მისზე იმ ადამიანს ვისაც ენდობი. ის შეძლებს სწრაფად მოახდინოს რეაგირეა, როცა შენი არ გაქვს ამისთვის დრო.

აგრეთვე არის **სხვა ინფორმაციები მხარდამჭერებისთვის. bbonlink.de/kit-ka-support** . აქ არის **კონტაქტები bbonlink.de/page-ka-contacts** სახელმწიფო უწყებების, სასამართლოების და პოლიტიკოსების. მათთან დარეკვას შეძლებს შენი სანდო პირი თუ შენ დაგადეპორტებენ.

ესაუბრე ოჯახს, მეგობრებს ან ნაცნობებს, როგორ შეუძლიათ და როგორ სურთ შენი მხარდაჭერა, და აჩვენე მათ ეს სასწრაფო დახმარების ნაკრები.

ხშირად დეპორტაციები ხდება ფარულად, უმეტესობა საქსონიაში ამას ვერ იგებს.

შეგიძლია შენი მოსალოდნელი დეპორტაცია მხარდამჭერების დახმარებით საჯაროდ გაახმოვანო. ზოგჯერ ამას შეუძლია მიმდინარე დეპორტაციის შეჩერება. მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია, რომ რაც შეიზლება მეტმა ადამიანმა გაიგოს, რამდენად მძიმე და საზიანოა დეპორტაციები.

აქ არის **რჩევები პროტესტისთვის და ინდორმაციის გასაჯაროებისთვის bbonlink.de/page-ka-publicity** დეპორტაციის დროს.

დაფიქრდი, რომელი ინფორმაციის გასაჯაროება გსურს და განიხილე ეს შენს მხარდამჭერებთან.

აქვთ მათ უფლება გაასაჯაროონ ქვემოთ ჩამოთვლილი ინფორმაციები:

- როგორ მიმდინარეობდა დეპორტაცია?
- როგორი იყო შენი ცხოვრება გერმანიაში? (სამსახური, სკოლა, მოხალისედ მუშაობა, ჯანმრთელობა, სამართალდარღვევები...)
- რას გაექეცი? რისი ან ვისი გეშინია უკან დაბრუნების შემთხვევაში?
- გინდა შენი სახელის ან ფოტოსურათების, ვიდეოების გასაჯაროება თუ არა ?

Deutsche Übersetzung verfügbar

Translation to English available

Traduction en français disponible

الترجمة إلى العربية

Traducción al español disponible

Wergera bi Kurdî heye

აქ შეგიძლიათ იპოვოთ მეტი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა შეგიძლიათ გააკეთოთ დეპორტაციის წინააღმდეგ bringbackourneighbours.de/

ბოლო განახლება: 8.7.2025

გამომცემლის მონაცემები: Kontaktgruppe Asyl und Abschiebehaft e.V. Heinrich-Zille-Str. 6 01219 Dresden